ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 511

“20” ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №16-24-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.027.033) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.032.024) 4 კვ.მ. და 2 კვ.მ მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (ს/ნ. 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-24-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.033) 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.032.024) 4 კვ.მ. და 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (ს/ნ. 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ოქტომბრის №23.1492.1663 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №16-24-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.027.033) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.032.024) 4 კვ.მ. და 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (ს/ნ. 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5040 (ხუთი ათას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე